

შპს სადისტრიბუციო კომპანია ირიათონი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება  
2020 წელი.



### ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა                                                                       | 31/12/2020      | 31/12/2019      | 31/12/2018      |
|---------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 5857            | 5904            | 10560           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 665289          | 593110          | 623652          |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 0               | 0               | 0               |
| <b>მარაგები</b>                                                                             | <b>1581077</b>  | <b>1164135</b>  | <b>1262499</b>  |
| მზა პროდუქცია                                                                               | 0               | 0               | 0               |
| სხვა                                                                                        | 1581077         | 1164135         | 1262499         |
| საინვესტიციო ქონება                                                                         | 0               | 0               | 0               |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 0               | 0               | 0               |
| <b>ბიოლოგიური აქტივები</b>                                                                  | <b>0</b>        | <b>0</b>        | <b>0</b>        |
| თვითღირებულების მოდელით                                                                     | 0               | 0               | 0               |
| გადაფასების მოდელით                                                                         | 0               | 0               | 0               |
| გუდვილი                                                                                     | 0               | 0               | 0               |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 1144            | 1213            | 1283            |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 72357           | 85654           | 93448           |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                                           | 0               | 0               | 0               |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                         | 0               | 0               | 0               |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                  | 500             | 500             | 500             |
| <b>სულ აქტივები</b>                                                                         | <b>2326224</b>  | <b>1850516</b>  | <b>1991942</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |                 |                 |                 |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         | 15418           | 29645           | 0               |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 4180648         | 3429315         | 3261081         |
| ანარიცხები                                                                                  | 0               | 0               | 0               |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 24778           | 29171           | 15976           |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 10577           | 15451           | 8092            |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                                  | 0               | 0               | 0               |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 0               | 0               | 0               |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 0               | 0               | 0               |
| მიღებული გრანტები                                                                           | 0               | 0               | 0               |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 2972            | 0               | 0               |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                                    | <b>4234393</b>  | <b>3503582</b>  | <b>3285149</b>  |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |                 |                 |                 |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 5000            | 5000            | 5000            |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0               | 0               | 0               |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0               | 0               | 0               |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | -1913169        | -1658066        | -1298207        |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 0               | 0               | 0               |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 0               | 0               | 0               |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                | <b>-1908169</b> | <b>-1653066</b> | <b>-1293207</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                               | <b>2326224</b>  | <b>1850516</b>  | <b>1991942</b>  |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 2252223         | 1763149         | 1896711         |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 4218975         | 3473937         | 3285149         |

საქმიანობის შედეგები


| საქმიანობის შედეგები                                                                                                              | 31/12/2020      | 31/12/2019      |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                                                                                             | <b>1065485</b>  | <b>1117613</b>  |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                                                               | 1065485         | 1117613         |
| მომსახურების გაწვიდან                                                                                                             | 0               | 0               |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                                                                                      | 0               | 0               |
| სხვა                                                                                                                              | 0               | 0               |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                                                         | -730457         | -787394         |
| საწყისი მარაგები                                                                                                                  | 0               | 0               |
| მარაგების შესყიდვა                                                                                                                | 0               | 0               |
| გადამუშავების დანახარჯები                                                                                                         | 0               | 0               |
| საბოლოო მარაგები                                                                                                                  | 0               | 0               |
| <b>საერთო მოგება</b>                                                                                                              | <b>335028</b>   | <b>330219</b>   |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                                                                                        | 8469            | 0               |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                                                          | -339293         | -421013         |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                                                                                        | -13366          | -11035          |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                                                             | 0               | 0               |
| საპროცენტო ხარჯი                                                                                                                  | -4669           | -7432           |
| იჯარის ხარჯი                                                                                                                      | -14063          | -26070          |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                                                          | -227209         | -220862         |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                                                                                     | <b>-590131</b>  | <b>-686412</b>  |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                                                                          | <b>-255103</b>  | <b>-356193</b>  |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                                                                            |                 |                 |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                                | 0               | 0               |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                                          | 0               | 0               |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                        | 0               | 0               |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან                                    | 0               | 0               |
| მიღებული დივიდენდები                                                                                                              | 0               | 0               |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                                                           | 0               | -3666           |
| <b>მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან</b>                                                   | <b>-255103</b>  | <b>-359859</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                                                         | 0               | 0               |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი</b>                                                                                     | <b>-255103</b>  | <b>-359859</b>  |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                                                                          |                 |                 |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი                                                       | 0               | 0               |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | 0               | 0               |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:</b>                                                                                     | <b>0</b>        | <b>0</b>        |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)</b>                                                                                        | <b>-255103</b>  | <b>-359859</b>  |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                                               | -1653066        | -1293207        |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')               | 0               | 0               |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                                    | 0               | 0               |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                                             | 0               | 0               |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                                         | 0               | 0               |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                                                                             | <b>-1908169</b> | <b>-1653066</b> |

შპს სადისტრიბუციო კომპანია ირიათონი ს/კ 404979608

გამარტივებული ფორმები III კატეგორიის საწარმოებისათვის (მსს ფასს)

ფულადი სახსრების მოძრაობა

| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                                            | 31/12/2020  | 31/12/2019   |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------|--------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები                   | 4622        | 15006        |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები               | 0           | 0            |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები                     | -4669       | -19662       |
| <b>ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)</b>                                                                            | <b>-47</b>  | <b>-4656</b> |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის | 0           | 0            |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                   | 5904        | 10560        |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                                            | <b>5857</b> | <b>5904</b>  |



დირექტორი:

ნიკოლოზ კორტავა

# ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

## 1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სადისტრიბუციო კომპანია ირიათონი“ (ს.კ404979608) დაარსდა 2013 წლის 26 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და 2013 წლიდან დღემდე მის საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო-საცალო ვაჭრობა და დისტრიბუცია წიგნებით.

შპს „სადისტრიბუციო კომპანია ირიათონი“-ის 100%-ის წილის მფლობელი არის კახმეგი კუდავა (პ.ნ 01008014638).

შპს „სადისტრიბუციო კომპანია ირიათონი“-ის რეგისტრირებული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., N 17 ბ.

დირექტორი - ნიკოლოზ კორტავა (01008053630);

ფინანსური მენეჯერი - თეიმურაზ ლომიძე (57001012000).

## 2 შედგენის საფუძველი

### 2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“), რაც ასახავს საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“- ფარგლებში).

### 2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

### 2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საზოგადოების მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

## 3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

### 3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

### 3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### 3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება ხარჯად. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახდვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი. ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

### 3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს.

### 3.5 სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება

საზოგადოების ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### **3.6 სესხები**

სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. პირველადი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ნასესხები სახსრების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

### **3.7 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები**

ხელფასები, გასამრჯელოები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც საზოგადოების თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული, ხოლო ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებების, ბიულეტენების შემთხვევაში როდესაც საზოგადოების თანამშრომელი ისარგებლებს ამ უფლებით. არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, საზოგადოების მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

### **3.8 საკუთარი კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ.) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

### **3.9 ამონაგების აღიარება**

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე (როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით) მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

### **3.10 დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ)**

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს წიგნების დისტრიბუცია. კომპანია არ არის დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით წიგნის მიწოდება გათავისუფლებულია ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან.

### **3.11 მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს

საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა საზოგადოების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვეო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი ე.წ. „ესტონური“ მოდელის მიხედვით, საზოგადოებებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით.

### 3.15 ფინანსური ანგარიშების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება საზოგადოების იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

